

თავი 7.2

ფონური მდგომარეობის ანგარიში
კულტურული მემკვიდრეობა

დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის
 სექციური ცვლილებების პროექტი, საქართველო
 კულტურული მემკვიდრეობის უბნების საველე დათვალიერება



შპს „Landsker Archaeology Limited“

დოკუმენტის N: 1013-RPT-GW-001

www.landskerarchaeology.co.uk

რევიზია	აღწერა	თარიღი	მოამზადა	შეამოწმა	დაამტკიცა
0	წარდგენა	4/01/12	DJM		
1	შეცვლილი სამუშაოთა მოცულობა	2016 წლის თებერვალი	DJS		

სარჩევი

უბნების საველე კვლევები, 2011 წლის დეკემბერი.....	3
შესავალი	3
დათვალიერებული უბნები.....	3
ეკლესია (CH-6)	3
ნამოსახლარი (CH-7).....	4
წრიული ქვყრილი (უბანი CH-8)	4
არქეოლოგიური გათხრა საქართველოს მილსადენის კომპანიის მილსადენზე.....	7
ნატურის ხეები.....	8
დასკვნა.....	9
დანართი A კულტურული მემკვიდრეობის უბნები WREP-SR-ის საპროექტო ტერიტორიაზე	10
დანართი B კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების შესწავლა, 2007 წ.	13
დანართი C დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის სექციური ცვლილებების პროექტის ანგარიში კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების შესახებ, 2009 წ.....	21
დანართი D დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის სექციური ცვლილებების პროექტის ანგარიში კულტურული მემკვიდრეობის უბნების საველე კვლევის შესახებ, 2011 წ.....	29

დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის სექციური ცვლილებების პროექტი, საქართველო

უბნების საველე კვლევები, 2011 წლის დეკემბერი

შესავალი

წინამდებარე ანგარიშში დეტალურადაა აღწერილი დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის სექციური ცვლილებების პროექტის (WREP SR) მარშრუტის გასწვრივ მდებარე არქეოლოგიური მნიშვნელობის მქონე უბნების საველე დათვალიერების შედეგები. აგრეთვე მოცემულია დამატებითი ინფორმაცია იმ საკითხებსა და უბნებზე, სადაც შესაძლებელია საჭირო იყოს დამატებითი სამუშაოების ჩატარება.

2011 წლის 9 დეკემბრიდან 12 დეკემბრამდე დევიდ მენარდმა და დავით ხოშტარიამ, BP-ის კულტურული მემკვიდრეობის საკითხების მონიტორმა დაათვალიერეს WREP-ის გასწვრივ არსებული კულტურული მემკვიდრეობის უბნების უდიდესი ნაწილი. აღსანიშნავია, რომ კვლევის დროს პირობები კარგი იყო, თუმცა მიწის ზედაპირის ნაწილი თოვლით იყო დაფარული.

წარსულში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევების შესახებ ანგარიშები მოყვანილია დანართების სახით; თუმცა მოხდა მათი რედაქტირება და ინფორმაცია იმ მონაკვეთების შესახებ, რომლებიც აღარ წარმოადგენენ მიმდინარე სამუშაოთა მოცულობის ნაწილს, ამოღებულია:

დანართი B – 2007 წლის კვლევა, რომელიც ჩატარა ზურაბ ცქვიტინიძემ, BP-ის კულტურული მემკვიდრეობის საკითხების მონიტორმა

დანართი C – 2009 წლის ანგარიში, რომელიც მოამზადა ნინო ერქომაიშვილმა, BP

დანართი D – 2011 წლის საველე კვლევა, რომელიც ჩატარა კულტურული მემკვიდრეობის საკითხების ქართველი ექსპერტების ჯგუფმა.

წინამდებარე ანგარიშში თავმოყრილია პროექტისათვის წარსულში განხორციელებული სხვადასხვა გამოკვლევით შეგროვებული ინფორმაცია.

დათვალიერებული უბნები

უბნები განისაზღვრება მილსადენის შესაბამისი კილომეტრ-ნიშნულითა (კმ ნიშნული) და დანართი A-ს ცხრილში მოცემული CH საიდენტიფიკაციო ნომრით.

ეკლესია (CH-6)

დათვალიერებული იქნა ეკლესია, რომელიც მდებარეობს კოორდინატებზე: 8482705 4633432. მოსალოდნელი არაა, რომ შემოთავაზებულმა პროექტმა ზემოქმედება მოახდინოს ამ ტერიტორიაზე (სურ. 1).

სურათი 1 ეკლესია (CH-6), ხედი ჩრდილოეთით



ნამოსახლარი (CH-7)

სავარაუდოდ, აღნიშნული უბანი უნდა მდებარეობდეს ეკლესიისაკენ მიმავალი გრუნტის გზის გასწვრივ არსებულ ტყეში, კოორდინატებზე: 8482684 4633597. სავლელ დათვალიერების დროს უბანი იდენტიფიცირებული ვერ იქნა. დათვალიერებული იქნა ეკლესიისაკენ სამხრეთით მიმავალი გზა და გზიდან დასავლეთით არსებული ტყე, თუმცა ხშირ ტყეში ვერ გამოვლინდა ნამოსახლარის არსებობის ნიშნები.

წრიული ქვყარილი (უბანი CH-8)

კომპანია CB&I-ის ინჟინრების ინფორმაციით, კოორდინატებზე 8481045 4633886 აღმოჩნდა წრიული ფორმის ქვყარილი; გარდა ამისა, ნანახი იქნა სამხედრო დანიშნულების ობიექტები და საგნები. აღნიშნული უბანი დათვალიერებული იქნა. უბანზე მდებარეობს დაახლოებით 20 მ დიამეტრის, წრიული ფორმის პლატფორმა სწორი ზედაპირით; პლატფორმა გარშემორტყმულია მსხვილი ლოდებით (1.5 მ-მდე). სამწუხაროდ, ამ ობიექტის სრული დათვალიერება ვერ მოხერხდა თოვლის საფარის გამო.

ქედის თხემის გასწვრივ ჩატარებულმა დამატებითმა დათვალიერებამ გვიჩვენა, რომ ზემოაღნიშნული ობიექტი წარმოადგენდა ჩაღრმავებებისა და სწორი ზედაპირის მქონე პლატფორმების მსხვილ კომპლექსს, რომლის შიგნითაც განლაგებულია სხვადასხვა ბილიკი. მოცემული ობიექტები მდებარეობს ქედის თხემსა და ჩრდილოეთ ფერდობზე, გრუნტის გზის მიმართულებით. როგორც ჩანს, ისინი გვხვდება დასავლეთიდან, კოორდინატებიდან - 8480660 46344000 - აღმოსავლეთით, სულ მცირე, კოორდინატებამდე - 8481180 4633960, 530 მ მანძილზე. ჩაღრმავებები, ჩვეულებრივ, 2 - 3 მ სიღრმის, 5 მ სიგანისა და 10 მ სიგრძისაა (სურ. 2). ისინი ამოთხრილი იქნა კლდოვან ქანებამდე, ხოლო ამოღებული მასალა თანაბრად განაწილებული იქნა ორივე მხარეს. ობიექტების უდიდესი ნაწილი დაფარულია ბუჩქნარით, რაც მიგვითითებს, რომ მოცემულ ტერიტორიაზე აქტიურობა, სულ მცირე, 30 წლის წინ შეწყდა.

სურათი 2 დიდი ზომის ჩალრმავება ან მცირე კარიერი (CH-8), ხედი ჩრდილოეთით



ზემოაღნიშნული ობიექტები არ ჩანს პროექტისათვის შეძენილ სატელიტურ გამოსახულებაზე და არც Google Earth-ის სატელიტურ სურათებზე; ოდნავ შეიმჩნევა მხოლოდ მცენარეულობა, რომელიც ფარავს ობიექტებს. აშშ გეოლოგიური სააგენტოს (USGS) ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომია აშშ ჯაშუში სატელიტებით გადაღებული ფოტოგრაფიები, რომლებსაც მოხსნილი აქვს გრიფი „საიდუმლო“ (http://eros.usgs.gov/#/Find_Data/Products_and_Data_Available/Satellite_Products).

შემთხვევით აღმოჩნდა, რომ თბილისის მიდამოების ფოტოგამოსახულებების ერთ-ერთი კომპლექტის (DS1115-1057DA063) ჩამოტვირთვა შესაძლებელია USGS ვებ-გვერდიდან. ეს კომპლექტი თარიღდება 1971 წლის 14 სექტემბრით. ჩატარდა ჩამოტვირთული ფოტოების რექტიფიკაცია და გადაყვანა Google Earth-ის KMZ ფორმატში. აღნიშნული ფოტოს ნაწილი ნაჩვენებია მე-3 სურათზე.

სურათი 3 აშშ-ს მიერ გადაღებული სატელიტური გამოსახულება (DS1115-1057DA063), რომელსაც მოხსნილი აქვს გრიფი „საიდუმლო“, 1971 წლის 14 სექტემბერი



სატელიტურ ფოტოზე ჩანს ბილიკები, რომლებიც აკავშირებს ქედის თხემის მაღალი ნაწილის დასავლეთით მდებარე ზონაში არსებულ წრიული ფორმის ობიექტებს. 1971 წლის გამოსახულებაზე მცენარეული საფარი მიახლოებით იგივეა, რაც ახლა, თუმცა ამჟამად ხემცენარეთა ჯგუფები უფრო ხშირი და მჭიდროა. 1971 წლის ფოტო გვიჩვენებს, რომ რაღაც ტიპის საქმიანობა მიმდინარეობდა ამ ტერიტორიის დასავლეთ ნაწილში, ხოლო აღმოსავლეთ ნაწილში რაიმე აქტივობის ნიშნები არ შეიმჩნევა.

გამიფვრა

მთელი საკვლევი ტერიტორია, როგორც ჩანს, დაფარულია ღრმა ორმოებით, მოსწორებული ზედაპირის მქონე პლატფორმებითა და ამოღებული გრუნტის გროვებით. შესაძლებელია ისინი წარმოადგენდნენ მცირე კარიერებს წიაღისეულის დასამიებლად ან ჰაერსაწინააღმდეგო საზენიტო საარტილერიო დანადგარის განთავსების უბანს. აღმოსავლეთ ბორცვზე მდებარე ობიექტები იმდენად ხშირი მცენარეულობითაა დაფარული, რომ, სავარაუდოდ, უნდა თარიღდებოდეს მეორე მსოფლიო ომის პერიოდით. უფრო დასავლეთით არსებული ობიექტები, როგორც ჩანს, უფრო გვიანდელი პერიოდისაა. აღსანიშნავია, რომ ქედის თხემის გასწვრივ, ჯვრის ტბის სამხრეთით განლაგებულია მიწაყრილები; გარდა ამისა, Google Earth-ის ფოტოებზე ჩანს ნაგებობების საძირკვლები. იგივე ტერიტორიის 1971 წლის სატელიტურ გამოსახულებაზე ეს ობიექტები არ ჩანს. აღნიშნული ობიექტების დანიშნულება უცნობია, თუმცა შესაძლებელია ისინი სამხედრო ობიექტებს წარმოადგენდნენ.

ზემომოყვანილი შედეგების გათვალისწინებით, წარმოიქმნება გარკვეული ეჭვი არქეოლოგიური კვლევებით გამოვლენილ შუა საუკუნეების ნამოსახლართან (CH8) დაკავშირებით (სურ. 4). დათვალიერებული იქნა ე.წ. ნამოსახლარის ტერიტორია; აქ მდებარე ობიექტები, სავარაუდოდ, წარმოადგენენ ზემოთ აღწერილი ობიექტების ნაწილს (გაგრძელებას). აგრეთვე შესაძლებელია, რომ ეს ობიექტები უფრო ადრინდელი ნაგებობების ნაწილია, რომელიც დაზიანდა მოგვიანებით განხორციელებული საქმიანობის შედეგად.

სურ. 4 შუა საუკუნეების ნამოსახლარის ობიექტები (CH8), ხედი ჩრდილოეთით



არქეოლოგიური გათხრა საქართველოს მილსადენის კომპანიის მილსადენზე

საველე კვლევების დროს გავლილი იქნა საქართველოს მილსადენის კომპანიის (GPC) მშენებარე მილსადენი. კოორდინატებზე 8480883 4633958 დაფიქსირდა მცირე მასშტაბის არქეოლოგიური გათხრები. აშკარა იყო, რომ აღნიშნული ობიექტი აღმოჩენილი იქნა მშენებლობის პროცესში და მიმდინარეობდა მისი შესწავლა (სურ. 5 და თავფურცელი). წინასწარი შეფასებით, ობიექტი წარმოადგენს გვიანი შუა საუკუნეების მცირე ზომის ნამოსახლარს; ნაშთებიდან ნანახი იქნა კერა და დიდი ზომის კერამიკული ჭურჭელი. საველე დათვალიერების დროისათვის ითვლებოდა, რომ WREP SR-ის საპროექტო მილსადენი გადიოდა 100 მ-ით ჩრდილოეთით. მას შემდეგ დამუშავდა RR 001 მარშრუტის მიკროცვლილება, რის შედეგად შემოთავაზებული მილსადენი ძალიან ახლოს აღმოჩნდა ამ უბანთან.

სურათი 5 არქეოლოგიური გათხრა GPC-ის მილსადენზე. ხედი აღმოსავლეთით, შეადარეთ თავფურცელს, სადაც ხედი სამხრეთ-დასავლეთითაა.



ნატვრის ხეები

ჯვრის მონასტრისაკენ მიმავალ გზაზე (CH-23) დაფიქსირდა ორი ნატვრის ხე შემდეგ კოორდინატებზე: 84879226 4634215 და 8479834 4634021. ამ ხეების ტოტებზე დამაგრებულია ტილოს ნაჭრები ან ლენტები (სურ. 6). ისინი ასახავენ ჯვრის მონასტრისაკენ მიმავალი გზით მოსარგებლე ადამიანების ოცნებებსა და იღბლის იმედებს. ნატვრის ხეები ჯვრის მონასტრის ტერიტორიაზე გვხვდება.

სურათი 6 ნატურის ხე ჯვრის მონასტრისაკენ მიმავალ გზაზე. ხედი აღმოსავლეთით



დასკვნა

მოცემულ ანგარიშში მოყვანილია WREP SR-ის მილსადენის, მარშრუტის სხვადასხვა ცვლილებების, შერჩეული მდინარეთა გადაკვეთების, მიწების დასაწყობების უბნებისა და სამშენებლო ბანაკების ტერიტორიების საველე შეფასების შედეგები 2011 წლის დეკემბრის მდგომარეობით. საველე შეფასების ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩენა მდგომარეობს იმაში, რომ გვიანი შუა საუკუნეების პერიოდის ნამოსახლარზე (CH-8) ადგილი ჰქონდა უახლოეს წარსულში განხორციელებული საქმიანობის ზემოქმედებას. მიუხედავად ამისა, მოსალოდნელია, რომ მშენებლობის დროს ამ ტერიტორიაზე გამოვლინდეს კარგად შემონახული ნაშთები, რაც დასტურდება GPC-ის მილსადენზე მომხდარი შემთხვევითი აღმოჩენით.

დანართი A

კულტურული მემკვიდრეობის უბნები WREP-SR-ის საპროექტო ტერიტორიაზე

უბანი	მდებარეობა	შენიშვნები	მნიშვნელობა	ზემოქმედება
CH-5	AR65-66	<p>გასხვისების დერეფნის მშენებლობის დროს გამოსაყენებელი მისასვლელი გზა</p> <p>გამოვლინდა კულტურული შრეები მისასვლელი გზის ჭრილში. ისინი გამოკვლეული იქნა და აღმოჩნდა შემდეგი:</p> <p>უბანი I – ხრამის მარცხენა მხარეს, საავტომობილო გზის გასწვრივ გზით გაჭრილი ნაპირი შეიცავს 30-40 სმ სისქის კულტურულ შრეს ნაცრის შემადგენლობით, ასევე ძვლისა და ობსიდიანის (სავარაუდოდ, ენეოლითის ან ბრინჯაოს ხანის) დიდ ოდენობას. შუა საუკუნეების კერამიკული ნაკეთობების ფრაგმენტები (სავარაუდოდ, IX-X ს.ს.) შეგროვებული იქნა ფერდობზე და თხრილიდან გზის მარცხნივ. გვიანდელი კლასიკური პერიოდის კერამიკული მასალები აღმოჩენილი იქნა დასავლეთის მიმართულების გზის თხრილში.</p> <p>უბანი II – ნაპირის შეჭრაში გზის მარცხენა კიდეზე, დაახლოებით 200 მ-ში I უბნიდან შეინიშნება გამომწვარი თიხის შრეების აშკარა ნიშნები. ჩალრმავეებში შეინიშნება მსხვილი ქვათაწყობა.</p>	C	2
CH-6	AM66	<p>წმ. გიორგის ეკლესია გორაზე, მარშრუტიდან 70 მ სამხრეთ-დასავლეთით. მისასვლელი გზის ბოლოსკენ გორაზე დგას წმ. გიორგის ეკლესია, რომელიც წარმოადგენს მარტივ ერთნავე შენობას. ძველი მეთვრამეტე საუკუნისაა. სახურავი, კარნიზი და სანიაღვრე გარემონტდა ცოტა ხნის წინათ. იგი მოქმედი ეკლესიაა</p>	D	1
CH-7	AM66	<p>შუა საუკუნეების ნასოფლარი</p> <p>ნასოფლარის ნაგებობების ნაშთები (ქვის კედლები) ხილვადია მიწის ზედაპირზე; ნაშთები ფიქსირდება საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე მარშრუტის ჩრდილო-აღმოსავლეთით. მარშრუტი გვერდს უვლის უბანს, თუმცა მის საზღვართან ძალიან ახლოსაა (3 მ-ზე უახლოეს წერტილში).</p>	B	2
CH-8	AM68	<p>შუა საუკუნეების ნასოფლარი, რომელიც უკავშირდება 66-ე კმ ნიშნულზე აღმოჩენილ ნაშთებს და წარმოადგენს იმავე უბნის ნაწილს. ეს უბანი ვრცელდება დიდ ფართობზე 66-ე და 68-ე კმ ნიშნულებს შორის. მარშრუტი გაივლის მონაკვეთის ჩრდილოეთ საზღვარზე, დაახლ. 350 მ სიგრძეზე.</p>	B	2

უბანი	მდებარეობა	შენიშვნები	მნიშვნელობა	ზემოქმედება
CH-23	AR69	<p>გასხვისების დერეფნამდე მისასვლელი გზა და ჯვრის მონასტერი</p> <p>ეს გზა წარმოადგენს ჯვრის მონასტრისკენ მიმავალ ძირითად ტრასას. ჯვრის მონასტერი არის UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის უბანი და უმნიშვნელოვანესი კულტურული და ტურისტული ადგილი.</p>	E	1
CH-24	AM68.5 to AM71	<p>ქ. მცხეთა. მილსადენის მარშრუტი კვეთს ან ახლოს გაივლის ლანდშაფტის დაცვის ზონასთან, რომელიც უკავშირდება მცხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის უბანს. განხორციელდა მილსადენის მარშრუტის შეცვლა ცნობილი არქეოლოგიური და მაღალი რისკის ტერიტორიების გვერდის ასავლელად, თუმცა რჩება შემთხვევითი აღმოჩენების შესაძლებლობა</p>	E	1
-	AM71	<p>წიწამურის ხეობა. 2000 წ. განხორციელებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურა, რომ ტერიტორია წარმოადგენდა მცხეთის უძველესი ქალაქის (CH-10) (მეორე საუკუნე ძვ.წ.ად. - მეოთხე საუკუნე ახ.წ.ად.) თანამგზავრ სოფლის ტიპის დასახლებას. 1999 წ. აღმოჩნდა რვაკუთხედი კოშკი ტიპური წაგრძელებით სამხრეთ მხარეს (CH-9). ამავე ტერიტორიაზე გათხრილი იქნა ქვის სამარხები (CH-22). ეს ტერიტორია მდებარეობდა მარშრუტის ვარიანტ A-სთან ახლოს და ამჟამად განხორციელდა მისთვის გვერდის ავლა მილსადენის საბოლოო მარშრუტით.</p>	D	1

დანართი B

კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების შესწავლა, 2007 წ.

შესავალი

ფონური ინფორმაცია კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების შესახებ შეგროვდა შესაბამისი ლიტერატურული წყაროების მიმოხილვისა და ვიზუალური საველე კვლევის შედეგად, რომლის სამიზნე ტერიტორიას წარმოადგენდა მილსადენის შემოთავაზებული ახალი / გამოსაცვლელი მონაკვეთების 50 მ სიგანის დერეფანი. ლიტერატურის მიმოხილვის წყაროები იყო დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის (WREP) გარემოზე ზემოქმედების შეფასება (1997 წ.), 1997 წლის შემდეგ გამოქვეყნებული სამეცნიერო მასალები და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და სამხრეთ კავკასიური გაზსადენის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშები. ზურაბ ცქვიტინიძემ, BP-ის კულტურული მემკვიდრეობის საკითხების მონიტორმა, ჩაატარა მიწის ზედაპირის შემოწმება მილსადენის შემოთავაზებული ახალი და სარემონტო სექციების დერეფანში (2007 წლის ივლისი). 50 მ სიგანის დერეფანში გამოვლინდა ექვსი ახალი უბანი. ცხრა უბანი განისაზღვრა ლიტერატურული წყაროების მიმოხილვის საფუძველზე; მათი არსებობა დადასტურდა საველე კვლევის შედეგად. კიდევ ერთი უბანი, რომელიც აღმოჩენილი იქნა საველე კვლევის პროცესში, სავარაუდოდ, წარმოადგენს უკვე გათხრილ ქვის ყუთ-სამარხებს, თუმცა შესაბამისი პუბლიკაცია ვერ მოვიძიეთ. მშენებლობის პროცესში შესაძლებელია გამოვლინდეს ახალი უბნები, რომელთა არსებობის ნიშნები გრუნტის ზედაპირზე ამჟამად არ შეიმჩნევა ან კვლევის დროს დაფარული იყო ზაფხულის მცენარეულობით.

WREP-ის მონაკვეთი	უბნები	კოორდინატები	მდებარეობა	აღწერა	შენიშვნები
WREP-004	RR-001	8483046E/4632961N	66-ე საჰაერო ნიშნულთან მდებარე მისასვლელი გზის მარცხენა მხარეს, 578 მ მანძილზე სამხრეთ-დასავლეთით შემოთავაზებული ცენტრალური ხაზიდან	კულტურული შრე, რომელიც შედგება ნაცრის, ობსიდიანის არტეფაქტებისა და ცხოველთა ძვლებისაგან	უბნის საზღვრები უცნობია. არქეოლოგიური გათხრები უბნის შესაფასებლად. გვერდის ავლა

WREP-ის მონაკვეთი	უბნები	კოორდინატები	მდებარეობა	აღწერა	შენიშვნები
WREP-005	RR-001	უბანი: 8481367E/46 33926N 8481125E/46 33693N 8480647E/46 33911N 8480657E/46 34006N 8480868E/46 34041N 8481093E/46 34096N	შემოთავაზებულ ცენტრალურ ხაზთან ახლოს	ტყიანი ბორცვი, რომლის ზედაპირზე განლაგებულია შუა საუკუნეების ნაგებობის ნაშთები	გვერდის ავლა
WREP-006	RR-001	8479958E/46 33924N 8479580E/46 34054N	შემოთავაზებულ ცენტრალურ ხაზთან ახლოს	ქვების გროვები	მონიტორინგი მშენებლობის დროს. გვერდის ავლა
WREP-007	RR-001	უბანი: 8477854E/46 35035N 8477906E/46 35025N 8477956E/46 35095N 8477952E/46 35155N 8477912E/46 35138N 8477902E/46 35111N 8477848E/46 35071N	თბილისი-სოხუმის გზატკეცილის შეჭრის კიდედან მარჯვენა მხარეს. 114 მ სამხრეთ-დასავლეთით შემოთავაზებული ცენტრალური ხაზიდან	გათხრილი ქვის ყუთი-სამარხები	უბნის საზღვრები უცნობია. არქეოლოგიური გათხრები უბნის შესაფასებლად. პუბლიკაციები არ არსებობს. გვერდის ავლა

WREP-ის მონაკვეთი	უბნები	კოორდინატები	მდებარეობა	აღწერა	შენიშვნები
WREP-008	RR-001	უბანი: 8477832E/46 35219N 8477838E/46 35458N	თბილისი-სოხუმის გზატკეცილის შეჭრის კიდიდან მარჯვენა მხარეს. 153 მ სამხრეთ-დასავლეთით შემოთავაზებული ცენტრალური ხაზიდან	ქვის ნაგებობა; შესაძლო ნამოსახლარი ან სამარხები	უბნის საზღვრები უცნობია. არქეოლოგიური გათხრები უბნის შესაფასებლად. პუბლიკაციები არ არსებობს. გვერდის ავლა
WREP-009 წიწამური	RR-001	8478461E/46 36758N	123 მ ჩრდილო-აღმოსავლეთით შემოთავაზებული ცენტრალური ხაზიდან	წიწამურის ნამოსახლარი	ცნობილი უბანი, სადაც უკვე ჩატარდა არქეოლოგიური გათხრები. გვერდის ავლა

სათანადო ყურადღების არარსებობის შემთხვევაში მსხვილმასშტაბიანმა სამშენებლო პროექტმა შეიძლება მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს ტერიტორიის კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებზე. გულდასმითი მართვისა და დაგეგმვის მეშვეობით შესაძლებელია ამგვარი პროექტების დასრულება მინიმალური ზემოქმედებით კულტურულ მემკვიდრეობის რესურსებზე და, ამასთანავე, რეგიონის შესახებ არსებული არქეოლოგიური ინფორმაციის მნიშვნელოვანი გამდიდრება. არქეოლოგიური უბნები წარმოადგენენ ისტორიულ ობიექტებს, რომლებიც მიწის ზედაპირის ქვეშაა განლაგებული, ხოლო ძეგლები განლაგებულია მიწის ზედაპირის ზემოთ. ეს ორი კატეგორია განსხვავდება რესურსების მენეჯმენტის თვალსაზრისით, რადგან თითოეული მათგანის დაცვა საჭიროებს განსხვავებული ტიპის კვლევისა და შერბილების პროცედურებს. ზოგიერთი ობიექტი შეიძლება მოიცავდეს არქეოლოგიური და სტრუქტურული კომპონენტების ერთობლიობას; ასეთი ობიექტები ერთდროულად წარმოადგენენ არქეოლოგიურ უბანსა და ძეგლს.

პროექტის პოტენციური ზემოქმედების სახეები არქეოლოგიურ ობიექტებსა და ძეგლებზე მნიშვნელოვნად განსხვავდება. არქეოლოგიური ობიექტის შემთხვევაში საქმე გვაქვს მიწის სამუშაოებში გამოყენებული ტექნიკითა და მძიმე სამშენებლო მანქანების მოძრაობით გამოწვეულ პირდაპირ ფიზიკურ ზემოქმედებასთან მიწის ქვეშ არსებულ მყიფე ნაშთებზე. არქეოლოგიური ობიექტები, როგორც წესი, მიწის ქვეშაა განლაგებული და, აქედან გამომდინარე, მათი იდენტიფიკაცია რთულია. უფრო მეტიც, არქეოლოგიური

ობიექტების არსებობის ზედაპირული ნიშნები ყოველთვის არ წარმოადგენს მიწის ქვეშ მდებარე ობიექტის ფართობის ან მნიშვნელობის საიმედო მაჩვენებელს. მიწის ზედაპირზე ხილვადი არქეოლოგიური ნაშთების, როგორცაა მსხვილი სამაროვნები, გვერდის ავლა, კარგი პრაქტიკის მაგალითია, თუმცა იგი ვერ უზრუნველყოფს უარყოფით ზემოქმედებას ადგილი არ ექნება მიწის ზედაპირზე ნაკლებად გამოხატულ, მიწის ქვეშ მდებარე ობიექტებზე. რაც შეეხება მიწისზედა ძეგლებს, პრობლემას წარმოადგენს სატრანსპორტო საშუალებების შემთხვევითი გადაადგილება, გარემომცველი ლანდშაფტის დაზიანება, მძიმე ტექნიკის უწყვეტი მოძრაობითა და ასაფეთქებელი ნივთიერებების გამოყენებით გამოწვეული დესტაბილიზაცია და ზემოქმედებები. ძეგლები აგრეთვე მოწყვლადია მეორადი ზემოქმედებების მიმართ, როგორცაა მოსახლეობის რაოდენობის დროებითი ან პერმანენტული ზრდით გამოწვეული ზემოქმედება, ე.წ. „ინდუცირებული განვითარება“. ასეთი ზემოქმედების ტიპები შეიძლება აგრეთვე იყოს ძეგლების არასანქციონირებული და არასათანადო გამოყენება, ძეგლების გაძარცვა სამშენებლო მასალების მოსაპოვებლად და ძეგლების გარემოს დეგრადაცია მიწათსარგებლობის სხვადასხვა დაუგეგმავი ფორმის შედეგად.

საქართველო ცნობილია წერილობითი წყაროებით დადასტურებული უძველესი ისტორიითა და მრავალფეროვანი ისტორიული უბნებით, ძეგლებითა და არტეფაქტებით. ისტორიული კონტექსტი დაწვრილებითაა აღწერილი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და სამხრეთ კავკასიური გაზსადენის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტებში (2003 წ.). შემდგომ თავებში მოცემულ კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების დახასიათებაში განხილულია ფონური მდგომარეობის კვლევების შედეგად გამოვლენილი, ადრე ცნობილი და პოტენციურად მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ობიექტები და ისტორიული ძეგლები. მოკლე შეჯამება მოყვანილია იმ ადგილებისათვის, სადაც მილსადენის ახალი სექციები კვეთს უკვე ცნობილი კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ტერიტორიას.

დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის (WREP) გარემოზე ზემოქმედების შეფასების თავდაპირველი დოკუმენტისა (1997 წ.) და 1997 წლის შემდეგ გამოქვეყნებული სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ კულტურული მემკვიდრეობის უამრავი ობიექტი მდებარეობს მილსადენის შემოთავაზებული ახალი და გამოსაცვლელი სექციების საზღვრებს გარეთ. დაუზიანებელი ობიექტების ნაწილი, რომელიც შეტანილი იყო WREP-ის გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტში (1997 წ.), მოგვიანებით ნაწილობრივ გაითხარა. ყველა არქეოლოგიური გათხრა ჩატარდა GPS ხელსაწყო გამოყენების გარეშე; ამრიგად, გეოგრაფიული კოორდინატები მოცემული არაა არც WREP-ის გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტში და არც არქეოლოგიურ ანგარიშებსა თუ პუბლიკაციებში. ზემოაღნიშნული არქეოლოგიური უბნების გათხრების შესახებ ინფორმაცია მოყვანილია შემდეგ სამეცნიერო ჟურნალებში:

1. "მილსადენის არქეოლოგია", ტომი I, 1999 წ. და ტომი II, 2003 წ.
2. მცხეთა 1998, ნარეკვაი I; თბილისი, 1999 წ.

ლიტერატურული წყაროების მიმოხილვისა და საველე კვლევის შედეგები

AM 52 - AM 55

RP-001a

ამ მონაკვეთის გასწვრივ კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ძეგლების არსებობა არ გამოვლენილა.

AM 63 - AM 66

RR-001

პეტრე მოციქულის სახელობის ეკლესია, რომელიც თარიღდება შუა საუკუნეებით, მდებარეობს ბორცვზე, სოფლიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 400 მ მანძილზე (გიორგობიანი, 1990 წ.), 66-ე კმ ნიშნულთან.

AM 67 – AM 70

RR-001

მცხეთა – AM 70-ის ჩრდილო-დასავლეთით

ამ მარშრუტის ერთი სექცია, კერძოდ მონაკვეთი გლდანსა და ალაიანს შორის, რომელიც გადის მცხეთა-კასპის რეგიონზე, ძალიან მნიშვნელოვანია არქეოლოგიური, ისტორიული და კულტურული თვალსაზრისით. გარდა ამისა, ნავთობსადენის დერეფანი ამ მონაკვეთზე თითქმის მთლიანად განლაგებულია ქალაქ მცხეთის ტერიტორიაზე, რომელსაც გააჩნია ქალაქ-მუზეუმის სტატუსი და შეტანილია მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ნუსხაში, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ძეგლი. შეუძლებელია მცხეთასა და მიმდებარე ტერიტორიებზე (დიდი მცხეთა) არსებული არქეოლოგიური, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მნიშვნელობის გადაჭარბებული შეფასება საქართველოსა და კავკასიის კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის თვალსაზრისით. საქართველოს პირველი მეფე ფარნავაზის (III ს. ძვ. წ.აღ.) და ქართველების ლეგენდარული წინაპრების - ქართლოსისა და მცხეთოსის - ცხოვრება უკავშირდება ქალაქ მცხეთას.

ქალაქი მცხეთა - ისტორიული ძეგლი, ქალაქ-მუზეუმი. არქეოლოგიური კვლევების შედეგების მიხედვით, მცხეთა დასახლებული იყო ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანის ადრეულ და შუა პერიოდებში (III-II ათასწლეულები ძვ.წ.აღ.). გვიან ბრინჯაოსა და ადრეულ რკინის პერიოდებში მცხეთა მჭიდროდ ყოფილა დასახლებული (II-I ათასწლეულები ძვ.წ.აღ.). ძვ.წ.აღ. I ათასწლეულის შუა პერიოდისათვის იგი ჩამოყალიბდა როგორც ქალაქი - „დიდი მცხეთა“.

ძვ.წ.აღ. III საუკუნის დასაწყისში მცხეთა ქართლის (იბერია) - აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოს დედაქალაქია; ქართლის სამეფო დაარსა მცხეთის მკვიდრმა, ქართლის განმათავისუფლებელმა მეფე ფარნავაზმა.

დედაქალაქი მცხეთა იყო სამეფო ქალაქი და ხელოსნობისა და ვაჭრობის ცენტრი. ქალაქს ჰყავდა მთავარი მხატვარი და არქიტექტორი. არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნი რომაული, პართიული და სასანური მონეტები მიუთითებს, რომ უცხოური ვაჭრობა კარგად იყო განვითარებული.

IV საუკუნის დასაწყისში, 337 წელს კაპადოკიელი ქალის - ნინოს ქადაგებითა და მცდელობით, ქრისტიანობა გამოცხადდა იბერიის სახელმწიფო რელიგიად. ამავე პერიოდში აიგო პირველი ხის ეკლესია მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძრის ტერიტორიაზე და ხის ჯვარი აღიმართა ჯვრის მონასტრის ტერიტორიაზე.

ფეოდალური პერიოდის უამრავი მნიშვნელოვანი ძეგლი განლაგებულია მცხეთასა და მის მიდამოებში. ესენია: ჯვრის მონასტერი (VI-VII საუკუნეები), სვეტიცხოველი (XI ს.), სამთავრო (XI ს.), იოანე ნათლისმცემლის ბაზილიკა (VIII ს.), ანტიოქია (VII-VIII საუკუნეები), კალოუზნის ეკლესია (XII ს.), ბებრისციხე (ადრეული და განვითარებული შუა საუკუნეები) და სხვ. მცხეთაში არქეოლოგიური გათხრები დაიწყო XIX საუკუნის 70-იან წლებში; არქეოლოგიური შესწავლა დღემდე გრძელდება მუდმივი არქეოლოგიური ექსპედიციებით, რომლებსაც ახორციელებს მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტი. აღმოჩენილი იქნა ბევრი მნიშვნელოვანი ძეგლი. მცხეთა მდებარეობს მდინარეების - მტკვრისა და არაგვის - შესართავთან, მდ. არაგვის მარჯვენა და მდ. მტკვრის ორივე ნაპირებზე.

ჯვრის მონასტრის კომპლექსი უკავშირდება საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას (337 წ.), როდესაც მის ადგილზე აღიმართა ხის ჯვარი. კომპლექსი აშენდა VI საუკუნის მეორე ნახევარსა და VII საუკუნის პირველ ნახევარში. იგი ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი უმშვენიერესი ძეგლია. სამონასტრო კომპლექსი მოიცავს მცირე ეკლესიას, დიდ ეკლესიას, საფორტიფიკაციო გალავანსა და სხვა ნაგებობებს. იგი მდებარეობს მცხეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მთის წვერზე, მდ. მტკვრისა და მდ. არაგვის შესართავის სიახლოვეს, მდ. არაგვის მარცხენა ნაპირზე (ანდლულაძე, 1990 წ.; ბერიძე, 1974 წ.).

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს ძველ დედაქალაქს - მცხეთას განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია. ფაქტიურად, აქ ჩამოყალიბდა ქართული არქეოლოგია, როგორც მეცნიერება, როდესაც 1872-1875 წლებში ე.წ. სამთავროს მინდორზე 600-ზე მეტი სამარხი გაითხარა (სამთავროს სამაროვანი და ნამოსახლარები, რომლებიც თარიღდება ადრეული ბრინჯაოს ხანიდან განვითარებული ფეოდალიზმის პერიოდამდე. არქეოლოგიური ძეგლი მდებარეობს მდ. არაგვის მარჯვენა ნაპირზე, მონასტრისხევისა და და ბაიათხევს შორის, 128 ჰა ფართობზე). ამ უბანზე ყველაზე ადრეული ობიექტი დაზიანებული კულტურული შრეა, რომელიც შეიცავს ადრეული ბრინჯაოს ხანის კერამიკის ფრაგმენტებს. სამთავროს მინდორზე სამაროვანი შეიქმნა ძვ.წ.ად. II ათასწლეულში. არქეოლოგიური კვლევის სხვადასხვა ეტაპზე აქ გაითხარა სხვადასხვა პერიოდისა და ტიპის 400-ზე მეტი ყორღანი. სამთავროს მინდორზე აღმოჩენილი არტეფაქტები ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, ნაწილობრივ - მოსკოვში, ისტორიის მუზეუმში და ანტიკური არტეფაქტების სხვადასხვა ევროპულ საცავში; აგრეთვე - მცხეთის მუზეუმში. სამთავროს მინდორი კავკასიის არქეოლოგიური კულტურების დათარიღების, ურბანიზაციის პროცესებისა და საზოგადოების განვითარების შესწავლის მოდელია. ამ სამაროვნის მაგალითზე შესაძლებელია ქრისტიანული თემების წარმოქმნის, ახალი ქალაქის დაარსების პროცესის შემდგომ ეთნიკური სიტუაციის განვითარების გარკვევა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სვეტიცხოვლის ტაძარი და მისი შემოგარენი, რადგანაც იგი ერთროულად არქიტექტურული და არქეოლოგიური ძეგლია. სვეტიცხოვლის კომპლექსი, რომელიც მდებარეობს მცხეთის ცენტრალურ ნაწილში, მოიცავს საკათედრო ტაძარს, საფორტიფიკაციო გალავანს, ჭიშკარს, სამრეკლოს, სასახლეებსა და საეკლესიო პირების სახლებს. სვეტიცხოველი უკავშირდება მცხეთის მკვიდრის - ებრაელი ელიოზის ისტორიას; ელიოზმა მცხეთაში ჩამოიტანა ქრისტეს კვართი, რომელიც დამარხული იქნა იმ ადგილზე, სადაც მოგვიანებით სვეტიცხოველი აშენდა. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ, მეფე მირიანის ბრძანებით ამ ადგილზე ხის ეკლესია აღიმართა (IV საუკუნის 30-იანი წლები). ვახტანგ გორგასლის ბრძანებით, V საუკუნის ბოლოს აქ ქვის ბაზილიკა აშენდა, რომელიც იდგა XI საუკუნემდე. 1010-29 წლებში აიგო საკათედრო ტაძარი, რომელმაც დღემდე მოაღწია, თუმცა მრავალჯერ დაზიანდა და აღდგენილი იქნა. ტაძარში დაცულია XI საუკუნის ფრესკის ფრაგმენტები; ყველაზე გვიანდელი ფრესკები XVII საუკუნისაა.

სვეტიცხოვლის ტაძარსა და მის მიდამოებში არქეოლოგიური გათხრებით დასტურდება დამუშავებული ქვებით აგებული ძველი ბაზილიკისა და სხვადასხვა ისტორიული ეპოქების ციხე-სიმაგრის არსებობა.

სვეტიცხოვლის ტაძარი ქართველი მეფეების განსვენების ადგილია; აქ დამარხული არიან ვახტანგ გორგასალი, ერეკლე II და გიორგი XII.

მცხეთასა და მის შემოგარენში აღმოჩენილია უამრავი ეპიგრაფიკული ძეგლი / წარწერა ბერძნულ, არამეულ, ებრაულ, ქართულ, არაბულ და სხვ. ენებზე. არქეოლოგიური გათხრების პროცესში აღმოჩენილი, უცხო ქვეყნებში და ადგილობრივად დამზადებული ნატიფი ნაკეთობები და ხელოვნების ნიმუშები მიუთითებს, რომ უძველეს ქალაქში სიცოცხლე ჩქეფდა.

დიდი მცხეთის ფარგლებში 40-ზე მეტი ძეგლია; ქვემოთ მხოლოდ რამდენიმე მათგანია განხილული. მცხეთის ისტორიული ზონისათვის დამუშავდა არქიტექტურული განვითარების მართვის პროგრამა, რომლის მიზანია დაბალანსებული არქიტექტურული და ლანდშაფტური დომინანტური ელემენტების შენარჩუნება და აღდგენა (ჯვრის მონასტერი, სვეტიცხოველი, სამთავრო, ბებრისციხე და სხვ.) (DMG, 1990 წ.).

რამდენადაც მცხეთის მონაკვეთი ერთ-ერთი ყველაზე სენსიტიურია ნავთობსადენის სექციებს შორის, უაღრესად მნიშვნელოვანია მილსადენის პოტენციური ზემოქმედების ზონის გაფართოება, რათა მან მოიცვას მდ. მტკვრის ნაპირებზე მდებარე არქეოლოგიური, კულტურული და ისტორიული ძეგლები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ამ ზონის განსაკუთრებული მნიშვნელობა და სტატუსი უნდა გათვალისწინებული იქნას იმ შემთხვევაში, თუ საჭირო იქნება ნავთობსადენისათვის მიწის ან სამშენებლო სამუშაოების ჩატარება.

დანართი C

დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის სექციური ცვლილებების პროექტის ანგარიში კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების შესახებ, 2009 წ.

წინამდებარე მოხსენებით ანგარიშში ასახულია კაბინეტური შესწავლისა და სავლე კვლევების საფუძველზე მიღებული დასკვნები და რეკომენდაციები იმ ტერიტორიებთან მიმართებაში, სადაც გაივლის მილსადენის შემოთავაზებული ახალი მონაკვეთი. სავლე კვლევები არ მოიცავდა რაიმე სახის ინტრუზიულ სამუშაოებს; ამ ეტაპზე კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები შეფასდა მხოლოდ ვიზუალურად, რაც გულისხმობდა მიწისზედა ძეგლებისა და არქეოლოგიური ობიექტების არსებობის ხილვადი ნიშნების შეფასებას.

ფონური ინფორმაცია კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების შესახებ შეგროვდა შესაბამისი ლიტერატურული წყაროების მიმოხილვისა და სავლე გავლის საშუალებით, რომლებიც ჩატარდა 2007 და 2008 წლებში.

ლიტერატურული წყაროების მიმოხილვისას განხილული იქნა შემდეგი ძირითადი წყაროები: დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის გარემოზე ზემოქმედების შეფასების თავდაპირველი ანგარიში (1997 წ.), 1997 წლის შემდეგ გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და სამხრეთ კავკასიური გაზსადენის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშები.

დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის (WREP) გარემოზე ზემოქმედების შეფასების თავდაპირველი დოკუმენტისა (1997 წ.) და 1997 წლის შემდეგ გამოქვეყნებული სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ კულტურული მემკვიდრეობის უამრავი ობიექტი მდებარეობს მილსადენის შემოთავაზებული ახალი და გამოსაცვლელი სექციების საზღვრებს გარეთ. დაუზიანებელი ობიექტების ნაწილი, რომელიც შეტანილი იყო WREP-ის გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტში (1997 წ.), მოგვიანებით ნაწილობრივ გაითხარა. ყველა არქეოლოგიური გათხრა ჩატარდა GPS ხელსაწყო გამოყენების გარეშე; ამრიგად, გეოგრაფიული კოორდინატები მოცემული არაა არც WREP-ის გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტში და არც არქეოლოგიურ ანგარიშებსა თუ პუბლიკაციებში¹.

კულტურული მემკვიდრეობის სავლე კვლევის ანგარიში მოიცავს WREP-ის შემოთავაზებული ახალი მონაკვეთის 50 მ სიგანის დერეფანში კულტურული მემკვიდრეობის საკითხების მონიტორის ზურაბ ცქვიტინიძის მიერ 2007 წელს ჩატარებული გრუნტის ზედაპირის შემოწმებისა და 2008 წელს 100 მ სიგანის დერეფანში (შემოთავაზებული მარშრუტის ცენტრალური ხაზიდან 50 მ ორივე მხარეს) ექსპერტების ჯგუფის მიერ (არქეოლოგი - ლალი ახალაია, არქიტექტორი - გურამ ყიფიანი, ხელოვნებათმცოდნე - გიორგი პატაშური) ისევ ზურაბ ცქვიტინიძესთან ერთად ჩატარებული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების დათვალიერების შედეგებს.

სავლე გასვლები განხორციელდა თბილისში (ზემო ავჭალა), მცხეთასა და მის მიდამოებში, გორის, საჩხერეს, ჭიათურისა და ზესტაფონის რაიონებში.

¹ ზემოაღნიშნული არქეოლოგიური უბნების გათხრების შესახებ ინფორმაცია მოყვანილია შემდეგ სამეცნიერო ჟურნალებში:

- "მილსადენის არქეოლოგია", ტომი I, 1999 წ. და ტომი II, 2003 წ.
- მცხეთა 1998, ნარეკვაი I; თბილისი, 1999 წ.

დღემდე ჩატარებული კვლევების შედეგების შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ქვემოთ განხილული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები უნდა დაიყოს სამეცნიერო და კულტურული პრიორიტეტების გათვალისწინებით; შესაბამისად, ზოგიერთ უბანზე საჭირო იქნება პერმანენტული მონიტორინგი წინასამშენებლო ეტაპის მიწის სამუშაოების დროსაც კი (მაგ., მცირე გეოლოგიური შურფების გაყვანა და ა.შ.). ზოგიერთი უბნის დამატებით შესასწავლად აგრეთვე აუცილებელი იქნება ინტრუზიული სამუშაოები ან სხვა ალტერნატიული მეთოდების გამოყენება, ხოლო სხვა უბნებზე საკმარისი იქნება მხოლოდ მონიტორინგის დაწესება სამშენებლო სამუშაოების პროცესში.

სადაზვერვო შურფების / თხრილების ალტერნატივად შეიძლება განვიხილოთ იმ ტერიტორიების გეოფიზიკური გამოკვლევები², სადაც სავლელე კვლევებისა და ლიტერატურული წყაროების მიმოხილვის შედეგად გამოვლენილია ნამოსახლარების ან სხვა ნაგებობების ნაშთების შესაძლო არსებობა.

RR-001

AM 66

თბილისის მუნიციპალური ზონა, ზემო ავჭალა.

WREP-ის კმ ნიშნულები 65 – 66.

უბანი მოიცავს შუა საუკუნეების ნასოფლარს (*იხ. რუკები NN 5-6*); ზოგიერთი ქვის კედელი ჯერ კიდევ შემორჩენილია. მიუხედავად ამისა, ამ ობიექტის მნიშვნელობა დაბალია (*იხ. ფოტოები NN 8-10*). გარდა ამისა, მისასვლელი გზის შეჭრაში (მარცხენა მხარეს) ნაპოვნია ძვლები და ობსიდიანის ფრაგმენტები (*იხ. ფოტოები NN 11-13 და რუკა N 4*).

RR-001

AM 68 - 70

მცხეთის მიდამოები

მილსადენის სექცია, რომელიც კვეთს მცხეთა-კასპის რეგიონს, უაღრესად მნიშვნელოვანია არქეოლოგიური, ისტორიული და კულტურული თვალსაზრისით. ნავთობსადენის დერეფანი ამ მონაკვეთზე თითქმის მთლიანად განლაგებულია ქალაქ მცხეთის ტერიტორიაზე, რომელსაც გააჩნია ქალაქ-მუზეუმის სტატუსი და შეტანილია მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ნუსხაში³. შეუძლებელია მცხეთასა და მიმდებარე ტერიტორიებზე (დიდი მცხეთა) არსებული არქეოლოგიური, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მნიშვნელობის გადაჭარბებული შეფასება საქართველოსა და კავკასიის კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის თვალსაზრისით. საქართველოს პირველი მეფე ფარნავაზისა (III ს. ძვ. წ.აღ.) და ქართველების ლეგენდარული წინაპრების - ქართლოსისა და მცხეთოსის - ცხოვრება უკავშირდება ქალაქ მცხეთას.

² ინფორმაცია გეოფიზიკური კვლევების შესახებ მოყვანილია ცალკე პროექტში, რომელიც წარადგინა ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ექსპერტთა ჯგუფმა.

³ იხ.: <http://whc.unesco.org/en/list/708/>

ქალაქი მცხეთა - ისტორიული ძეგლი, ქალაქ-მუზეუმი მდებარეობს მდინარეების - მტკვრისა და არაგვის - შესართავთან, მდ. არაგვის მარჯვენა ნაპირსა და მდ. მტკვრის ორივე ნაპირზე (იხ. ფოტოები NN 14-15).

არქეოლოგიური კვლევების შედეგების მიხედვით, მცხეთა დასახლებული იყო ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანის ადრეულ და შუა პერიოდებში (III-II ათასწლეულები ძვ.წ.ად.). გვიან ბრინჯაოსა და ადრეულ რკინის პერიოდებში მცხეთა მჭიდროდ ყოფილა დასახლებული (II-I ათასწლეულები ძვ.წ.ად.). ძვ.წ.ად. I ათასწლეულის შუა პერიოდისათვის იგი ჩამოყალიბდა როგორც ქალაქი - „დიდი მცხეთა“.

ძვ.წ.ად. III საუკუნის დასაწყისში მცხეთა ქართლის (იბერია) - აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოს დედაქალაქია; ქართლის სამეფო დაარსა მცხეთის მკვიდრმა, ქართლის განმათავისუფლებელმა მეფე ფარნავაზმა.

დედაქალაქი მცხეთა იყო სამეფო ქალაქი და ხელოსნობისა და ვაჭრობის ცენტრი. ქალაქს ჰყავდა მთავარი მხატვარი და არქიტექტორი. არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნი რომაული, პართიული და სასანური მონეტები მოწმობს, რომ უცხოური ვაჭრობა კარგად იყო განვითარებული.

IV საუკუნის დასაწყისში, 337 წელს კაპადოკიელი ქალის - ნინოს ქადაგებითა და მცდელობით, ქრისტიანობა გამოცხადდა იბერიის სახელმწიფო რელიგიად. ამავე პერიოდში აიგო პირველი ხის ეკლესია მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძრის ტერიტორიაზე და ხის ჯვარი აღიმართა ჯვრის მონასტრის ტერიტორიაზე.

ფეოდალური პერიოდის უამრავი მნიშვნელოვანი ძეგლი განლაგებულია მცხეთასა და მის მიდამოებში. ესენია: ჯვრის მონასტერი (VI-VII საუკუნეები), სვეტიცხოველი (XI ს.), სამთავრო (XI ს.), იოანე ნათლისმცემლის ბაზილიკა (VIII ს.), ანტიოქია (VII-VIII საუკუნეები), კალოუზნის ეკლესია (XII ს.), ბებრისციხე (ადრეული და განვითარებული შუა საუკუნეები) და სხვ. მცხეთაში არქეოლოგიური გათხრები დაიწყო XIX საუკუნის 70-იან წლებში; არქეოლოგიური შესწავლა დღემდე გრძელდება მუდმივი არქეოლოგიური ექსპედიციებით, რომლებსაც ახორციელებს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. აღმოჩენილი იქნა ბევრი მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლი.

ჯვრის მონასტრის კომპლექსი (იხ. ფოტო 16) უკავშირდება საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას (337 წ.), როდესაც მის ადგილზე აღიმართა ხის ჯვარი. კომპლექსი აშენდა VI საუკუნის მეორე ნახევრსა და VII საუკუნის პირველ ნახევარში. იგი ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი უმშვენიერესი ძეგლია. სამონასტრო კომპლექსი მოიცავს მცირე ეკლესიას, დიდ ეკლესიას, საფორტიფიკაციო გალავანსა და სხვა ნაგებობებს. იგი მდებარეობს მცხეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მთის წვერზე, მდ. მტკვრისა და მდ. არაგვის შესართავის სიახლოვეს, მდ. არაგვის მარცხენა ნაპირზე⁴. ჯვრის მონასტრის ჩრდილო-აღმოსავლეთით აღმოჩენილია შუა საუკუნეების ნამოსახლარი⁵. ნაგებობის ნაშთები ჯერ კიდევ იკითხება მიწის ზედაპირზე; გარდა ამისა, აქ შეგროვებულია კერამიკის ფრაგმენტები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სვეტიცხოვლის ტაძარი და მისი შემოგარენი (იხ. ფოტოები NN 17-18), რადგანაც იგი ერთროულად არქიტექტურული და არქეოლოგიური ძეგლია.

⁴ ანდლულაძე, 1990 წ.; ბერიძე, 1974 წ.

⁵ მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის დართისკარის ჯგუფის ხელმძღვანელის გ. ნარიმანიშვილის საველე სამუშაოების ანგარიში, 1986 წ.

სვეტიცხოვლის კომპლექსი, რომელიც მდებარეობს მცხეთის ცენტრალურ ნაწილში, მოიცავს საკათედრო ტაძარს, საფორტიფიკაციო გალავანს, ჭიშკარს, სამრეკლოს, სასახლეებსა და საეკლესიო პირების სახლებს. სვეტიცხოველი უკავშირდება მცხეთის მკვიდრის - ებრაელი ელიოზის ისტორიას; ელიოზმა მცხეთაში ჩამოიტანა ქრისტეს კვართი, რომელიც დამარხული იქნა იმ ადგილზე, სადაც მოგვიანებით სვეტიცხოველი აშენდა. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ, მეფე მირიანის ბრძანებით ამ ადგილზე ხის ეკლესია აღიმართა (IV საუკუნის 30-იანი წლები). ვახტანგ გორგასლის ბრძანებით, V საუკუნის ბოლოს აქ ქვის ბაზილიკა აშენდა, რომელიც იდგა XI საუკუნემდე. 1010-29 წლებში აიგო საკათედრო ტაძარი, რომელმაც დღემდე მოაღწია, თუმცა მრავალჯერ დაზიანდა და აღდგენილი იქნა. ტაძარში დაცულია XI საუკუნის ფრესკის ფრაგმენტები; ყველაზე გვიანდელი ფრესკები XVII საუკუნისაა.

სვეტიცხოვლის ტაძარსა და მის მიდამოებში არქეოლოგიური გათხრებით დასტურდება დამუშავებული ქვებით აგებული ძველი ბაზილიკისა და სხვადასხვა ისტორიული ეპოქების ციხე-სიმაგრის არსებობა.

სვეტიცხოვლის ტაძარი ქართველი მეფეების განსვენების ადგილია; აქ დამარხული არიან ვახტანგ გორგასალი, ერეკლე II და გიორგი XII.

საქართველოს ძველ დედაქალაქს - მცხეთას განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია. ფაქტიურად, აქ ჩამოყალიბდა ქართული არქეოლოგია, როგორც მეცნიერება, როდესაც 1872-1875 წლებში ე.წ. სამთავროს მინდორზე 600-ზე მეტი სამარხი გაითხარა (სამთავროს სამაროვანი და ნამოსახლარები, რომლებიც თარიღდება ადრეული ბრინჯაოს ხანიდან განვითარებული ფეოდალიზმის პერიოდამდე. არქეოლოგიური ძეგლი მდებარეობს მდ. არაგვის მარჯვენა ნაპირზე, მონასტრისხევისა და და ბაიათხევის შორის, 128 ჰა ფართობზე). ამ უბანზე ყველაზე ადრეული ობიექტი დაზიანებული კულტურული შრეა, რომელიც შეიცავს ადრეული ბრინჯაოს ხანის კერამიკის ფრაგმენტებს. სამთავროს მინდორზე სამაროვანი შეიქმნა ძვ.წ.ად. II ათასწლეულში. არქეოლოგიური კვლევის სხვადასხვა ეტაპზე აქ გაითხარა სხვადასხვა პერიოდისა და ტიპის 400-ზე მეტი ყორღანი. სამთავროს მინდორზე აღმოჩენილი არტეფაქტები ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, ნაწილობრივ - მოსკოვში, ისტორიის მუზეუმში და ანტიკური არტეფაქტების სხვადასხვა ევროპულ საცავში; აგრეთვე - მცხეთის მუზეუმში. სამთავროს მინდორი კავკასიის არქეოლოგიური კულტურების დათარიღების, ურბანიზაციის პროცესებისა და საზოგადოების განვითარების შესწავლის მოდელია. ამ სამაროვნის მაგალითზე შესაძლებელია ქრისტიანული თემების წარმოქმნის, ახალი ქალაქის დაარსების პროცესის შემდგომ ეთნიკური სიტუაციის განვითარების გარკვევა.

მცხეთასა და მის შემოგარენში აღმოჩენილია უამრავი ეპიგრაფიკული ძეგლი / წარწერა ბერძნულ, არამეულ, ებრაულ, ქართულ, არაბულ და სხვ. ენებზე. არქეოლოგიური გათხრების პროცესში აღმოჩენილი, უცხო ქვეყნებში და ადგილობრივად დამზადებული ნატიფი ნაკეთობები და ხელოვნების ნიმუშები მიუთითებს, რომ უძველეს ქალაქში სიცოცხლე ჩქეფდა⁶.

⁶ - არქეოლოგიური გათხრები მცხეთასა და მის მიდამოებში, 1982 წ., ა. აფაქიძე, ვ. ნიკოლაიშვილი, გ. გიუნაშვილი, გ. მანჯგალაძე, მ. ძნელაძე, ვ. სადრაძე, რ. დავლიანიძე, ნ. ლლონტი;

- არქეოლოგიური გათხრები მცხეთასა და მის მიდამოებში, 1984-1985 წწ., ა. აფაქიძე, ვ. ნიკოლაიშვილი, ა. სიხარულიძე, კ. მელიტაური, ი. გაგოშიძე, გ. გიუნაშვილი, გ. მანჯგალაძე, გ. ნარიმანიშვილი, რ. დავლიანიძე, ვ. სადრაძე, ნ. ლლონტი, შ. ირემაშვილი

დიდი მცხეთის ფარგლებში 40-ზე მეტი ძეგლია; ქვემოთ მხოლოდ რამდენიმე მათგანია განხილული. მცხეთის ისტორიული ზონისათვის დამუშავდა არქიტექტურული განვითარების მართვის პროგრამა, რომლის მიზანია დაბალანსებული არქიტექტურული და ლანდშაფტური დომინანტური ელემენტების შენარჩუნება და აღდგენა (ჯვრის მონასტერი, სვეტიცხოველი, სამთავრო, ბებრისციხე და სხვ.) (DMG, 1990 წ.).

მცხეთის კულტურული მემკვიდრეობის უზნის სამართლებრივი დაცვის სისტემა. მცხეთის ძეგლების დაცვა ემყარება საქართველოს კანონს “კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ” (1999 წ., ცვლილებები შეტანილი იქნა 2002 და 2004 წლებში). ამ კანონის ფარგლებში ძეგლები კლასიფიცირებულია მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე. უმაღლეს კატეგორიას განეკუთვნება UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეყვანილი ძეგლები.

2003 წ., UNESCO/UNDP მხარდაჭერითა და საერთაშორისო და ქართველი ექსპერტების მონაწილეობით, შემუშავდა *მცხეთის კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების გენერალური გეგმა*. ეს დოკუმენტი ადექვატურად ასახავს მცხეთის სასიცოცხლო პრობლემებს და განსაზღვრავს არსებული საკითხების გადაწყვეტის მოკლე-, საშუალო- და გრძელვადიან ზომებს. გენერალური გეგმა განიხილა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ და დაასკვნა, რომ გენერალური გეგმა გამოყენებული იქნება მომავალში მცხეთის მართვის გეგმის მომზადებისას. იგი აგრეთვე განიხილება, როგორც ზოგადი სახელმძღვანელო განვითარების სხვადასხვა პროექტის განხილვისას მცხეთის მიდამოებში. თუმცა ამ გეგმის შესრულებისათვის საჭირო კონკრეტული ნაბიჯები ჯერ არ განხორციელებულა და მართვის გეგმა არ შემუშავებულა, მიუხედავად მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის მხრიდან ამ საქმიანობის გამუდმებული წახალისებისა.

2004 წ დაარსდა *მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების ეროვნული სამმართველო* საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის რეორგანიზებული სამინისტროს შემადგენლობაში. ეს სამმართველო ძირითადი ორგანოა, რომელიც პასუხისმგებელია მსოფლიო მემკვიდრეობის შესახებ კონვენციის მოთხოვნების შესრულებაზე, ზოგადი პოლიტიკის განსაზღვრაზე მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი ძეგლების კონსერვაციის, მონიტორინგის, მართვისა და პოპულარიზაციის სფეროში. 2004 წლის შემდეგ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო ახორციელებს მსოფლიო მემკვიდრეობის ყველა ძეგლის სისტემატური მონიტორინგის პროექტს.

2006 წელს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების სამმართველოს ნაცვლად, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში შეიქმნა *საქართველოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების ეროვნული კომიტეტი*. ამ კომიტეტის საქმიანობაში ჩართულები არიან სხვადასხვა სამთავრობო ორგანოების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და მოწვეული ექსპერტები.

საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო-ავტოკეფალურ მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის გაფორმებული საკონსტიტუციო შეთანხმების (*კონკორდატი*) მიხედვით, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ყველა სასულიერო / საეკლესიო შენობა, მათ შორის ჯვრის მონასტერი, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი და

სამთავროს დედათა მონასტერი, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის საკუთრებაა, თუმცა არმაზისციხის უძველესი ნამოსახლარი სახელმწიფო საკუთრებაა.

2005 წლის დეკემბერში საქართველოს პროეზიდენტმა გამოსცა ბრძანებულება მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალის რეორგანიზაციის შესახებ დიდი მცხეთის სახელმწიფო არქეოლოგიურ მუზეუმ-ნაკრძალად, საჯარო სამართლის სუბიექტად.

2007 წლის იანვარში მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში⁷ შეიქმნა *მცხეთის მემკვიდრეობის ინტეგრირებული მართვის კომისია*. კომისიის მანდატია ლოკალურ დონეზე ყველა იმ საქმიანობის კოორდინაცია, რომლის მიზანია მცხეთის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ყველა ობიექტის მდგრადი და ინტეგრირებული კონსერვაცია და მართვა.

ამ ახლად რეორგანიზებული ორგანოს პროგრამის ძირითადი მიმართულებები არქეოლოგიური და სარეაბილიტაციო სამუშაოების მხრივ ვრცელდება შემდეგ უძრავ არქეოლოგიურ ძეგლებზე: არმაზციხე-ბაგინეთი, არმაზისხევის კომპლექსი, სამთავროს უძველესი ნამოსახლარი და სამაროვანი.

მცხეთის კულტურული მემკვიდრეობის უზნის დაცვის ზონების (იხ. ფოტო N 19) კლასიფიკაცია შემდეგია:

არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვის ზონა. მცხეთასა და მის მიდამოებში უნიკალური არქეოლოგიური კომპლექსებია განლაგებული: სამთავროს სამაროვანი, არმაზციხე-ბაგინეთი, მოგვთაკარი, არმაზციხე და ღართისკარი. ამ ძეგლების დასაცავად დაწესებულია არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვის ხუთი ზონა:

სამთავრო-არაგვისკარის არქეოლოგიური ზონა

გეთსიმანის არქეოლოგიური ზონა

მცხეთის სამეფო აკლდამის არქეოლოგიური ზონა

არმაზისხევის კომპლექსის არქეოლოგიური ზონა

არმაზციხე-ბაგინეთის არქეოლოგიური ზონა.

ლანდშაფტის დაცვის ზონა. მცხეთის ისტორიულად ჩამოყალიბებული ლანდშაფტი დაცული უნდა იყოს როგორც განუყოფელი ბუნებრივი და კულტურული ფენომენი, სადაც ბუნებრივი კომპონენტები არქიტექტურული ძეგლების ადექვატური ვიზუალური აღქმის აუცილებელი პირობაა. ლანდშაფტის დაცვის ზონა განისაზღვრა მცხეთის ისტორიულად ჩამოყალიბებული გარემოს / ლანდშაფტის კონკრეტული მახასიათებლებისა და ლანდშაფტისა და დომინანტი არქიტექტურული ელემენტების ურთიერთქმედების გათვალისწინებით; ეს დომინანტებია: ჯვრის მთა ჯვრის მონასტერთან ერთად, ქართლის ქედის კალთა და ბაგინეთის არქეოლოგიური უბნები, არაგვი-მტკვრის პანორამული ხედი სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრით, ბებრისციხე, კოდმანის მთა და წიწამური, ზედაზენი და საგურამოს ქედის კალთები.

მარშრუტის დერეფნის ვიზუალურმა დათვალიერებამ არ გამოავლინა არქეოლოგიური ობიექტების არსებობის ხილული ნიშნები, თუმცა შემოთავაზებული მარშრუტის მეტ-

⁷ ადგილობრივი თვითმმართველობის საკანონმდებლო შტო

ნაკლებად სიახლოვეს ნანახი იქნა რამდენიმე არქეოლოგიური ობიექტი (იხ. ფოტოები NN 20-33 და რუკა N7).

მცხეთის მონაკვეთი ნავთობსადენის ყველაზე სენსიტიური სექციაა; აქედან გამომდინარე, უაღრესად მნიშვნელოვანია განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება დაცვის ზონებზე და ამ სექციის გასწვრივ არსებულ არქეოლოგიურ, კულტურულ და ისტორიულ ძეგლებზე მილსადენის ზემოქმედების შერბილება.

დანართი D

დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის სექციური ცვლილებების პროექტის ანგარიში კულტურული მემკვიდრეობის უბნების საველე კვლევის შესახებ, 2011 წ.

ექსპერტები:

ნიკოლოზ თუშაბრამიშვილი – არქეოლოგი, პალეოლითისა და პრეისტორიის სპეციალისტი, აკადემიური დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი

ზურაბ ცქვიტინიძე – არქეოლოგი, ბრინჯაოს ხანის სპეციალისტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

ვახტანგ შატბერაშვილი – არქეოლოგი, კლასიკური პერიოდის სპეციალისტი, აკადემიური დოქტორი

დავით ხოშტარია – ხელოვნებათმცოდნე, შუა საუკუნეების სპეციალისტი, აკადემიური დოქტორი, ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და მემკვიდრეობის დაცვის ნაციონალური კვლევის ცენტრის შუა საუკუნეების განყოფილების უფროსი

2011 წლის 24 ივნისი - 3 ივლისი

2011 წლის 24 ივნისიდან 3 ივლისამდე ექსპერტების ჯგუფმა ჩაატარა კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების შესწავლა და შეფასება დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის (WREP) მიმდებარე ტერიტორიებზე. შესწავლის ძირითადი მიზანი იყო მიწის ზედაპირზე ხილული არქეოლოგიური ობიექტებისა და მიწისზედა ძეგლების არსებობის შეფასება WREP სექციური ცვლილებების პროექტის ტერიტორიის ფარგლებში. საკვლევი ტერიტორია მოიცავდა 100 მ სიგანის დერეფანს (50 მ მარცხნივ და მარჯვნივ შემოთავაზებული ახალი / გამოსაცვლელი მონაკვეთების ცენტრალური ხაზიდან) და იმ უბნებს, რომელთა შესწავლა არ ჩატარებულა 2009 წლის კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ფონური მდგომარეობის კვლევის ფარგლებში ან ახლახან შეიცვალა. ჯგუფმა აგრეთვე გამოიკვლია 100 მ სიგრძისა და 50 მ სიგანის მიერთების უბნები.

ფონური მდგომარეობის შესწავლა შედგებოდა ლიტერატურული წყაროების მიმოხილვისა და ორკომპონენტური საველე კვლევისაგან:

- კაბინეტური შესწავლა - ლიტერატურული წყაროები მოიცავდა WREP-ის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (ESIA) ანგარიშის პროექტს (2009 წ.), საჰაერო და სატელიტური გამოსახულებების გამოკვლევას, WREP-ის მშენებლობასთან დაკავშირებული არქეოლოგიური გათხრების

შედეგების / ანგარიშებისა და 2008 წლის შემდეგ ამ რეგიონებთან დაკავშირებული სამეცნიერო მასალების განხილვას. ლიტერატურული წყაროები მიგვითითებს კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების რაოდენობასა და მნიშვნელობაზე, რომლებიც მდებარეობს შემოთავაზებული სამშენებლო უბნების საზღვრებში ან მათ სიახლოვეს;

- საველე კვლევა - მიწის ზედაპირზე ხილული არქეოლოგიური ობიექტებისა და მიწისზედა ძეგლების არსებობის ვიზუალური შეფასება; აგრეთვე, მშენებლობისათვის განკუთვნილი უბნების უშუალო სიახლოვეს მდებარე ტერიტორიების ხანმოკლე შესწავლა ე.წ. „გვიანი აღმოჩენების“ შესაძლებლობის რისკის წინასწარ შესაფასებლად.

ჯგუფს თან ჰქონდა საკვლევი ტერიტორიების რუკები; კოორდინატები მოწოდებული იყო პროექტის ჯგუფის მიერ.

ციფრული ფოტოკამერები და გლობალური პოზიციონირების ხელსაწყოები (GPS) ჯგუფს გადასცა BP Georgia-ს მრჩეველმა კულტურული მემკვიდრეობის საკითხებში.

მოცემულ ანგარიშს თან ერთვის ციფრული ფოტოები, რუკები და გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემის shape ფორმატის ფაილები.

2011 წლის 24 ივნისი

RP-001 (AM 39 - AM 59)

შესწავლილი უბნები არ მოიცავდა RP-001a-ს.

2011 წლის 25 ივნისი

RR-001 (AM 63 - AM 69)

(1) მიერთების უბანი WG020, საწყისი წერტილი - AM 63

სიმაღლე - 630 მ ზღ.დ.

ულრუბლო ამინდი.

ქ. თბილისის გლდანის რაიონი.

მთა დავრისხედის დასავლეთი ფერდობი, რომელიც დაფარულია ხელოვნური წიწვოვანი ტყით. მიწის ზედაპირზე არტეფაქტები არ გამოვლენილა. მილსადენის მშენებლობის დროს ამ უბანზე რაიმე არქეოლოგიური აღმოჩენა არ მომხდარა.

(2) AM 66

1. ქ. თბილისის ავჭალის მუნიციპალიტეტი.

წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია (8482705E/4633432N) მდებარეობს მილსადენის პოტენციური მარშრუტიდან 130 მ მანძილზე სამხრეთ-დასავლეთით, მთის წვერზე (720 მ ზღ.დ.). ეკლესია მარტივი, დარბაზის ტიპის ნაგებობაა, მისი კამარა ეყრდნობა კონსოლზე ჩამოკიდებულ თაღს. ნახევარწრიული აფსიდა გამოყოფილია ერთი საფეხურით. აფსიდის ჩრდილოეთ ნაწილში ერთადერთი ნიშაა. მართკუთხა ფორმის შესასვლელი სამხრეთის მხრიდანაა. ეკლესიაში მზის შუქი სამი ფანჯრიდან შემოდის, რომლებიც განლაგებულია საკურთხეველში, დასავლეთ და აღმოსავლეთ კედლებში. ეკლესია, სავარაუდოდ, მე-18 საუკუნისაა. ამჟამად შეკეთებულია, რის შედეგადაც გამოიცვალა სახურავი, განახლდა სახურავის ფარდულები და სანიაღვრე⁸.

2. 8482641E/4633620N

8482655E/4633625N

8482678E/4633623N

8482684E/4633597N

8482683E/4633562N

8482678E/4633541N

8482660E/4633534N

8482638E/4633542N

8482632E/4633588N

8482641E/4633620N

⁸ ლ. ახალაია, გ. ყიფიანი, გ. პატაშური. დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის სექციური ცვლილებების პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება, კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების საველე შესწავლის ანგარიში, 15-25 ნოემბერი, 2008 წ.

მილსადენის შემოთავაზებული ახალი მონაკვეთის ცენტრალური ხაზის სიახლოვეს გამოვლინდა შუა საუკუნეების ნამოსახლარი, რომელიც მდებარეობს 715 მ ზღ.დ., ხელოვნურ წიწვოვან ტყეში. შემორჩენილია ქვის ნაგებობის ნაშთები და შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი ჭურჭლის ფრაგმენტები.

(3) AM 68

მცხეთის რაიონი.

ახალი შემოთავაზებული მარშრუტი იწყება 8479881E/4634067N-დან, ზღ.დ. 670 მ სიმაღლეზე, სამოვრად გამოყენებულ ვაკე ტერიტორიაზე. მარშრუტი მიემართება სამხრეთით და კვეთს ხეობას, რომლის ფერდობები დაფარულია ტანდაბალი ხეებითა და ბუჩქებით. ახალი მონაკვეთი არსებულ მილსადენს უერთდება კოორდინატებზე 8480009E/4634807N. მიწის ზედაპირზე არ დაფიქსირდა არტეფაქტები ან კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის არსებობის ნიშნები. მილსადენის მშენებლობის დროს ამ უბანზე რაიმე არქეოლოგიური აღმოჩენა არ მომხდარა.

(4) მიერთების უბანი WG020, ბოლო წერტილი - AM 69

მიწის ზედაპირზე არ დაფიქსირდა არტეფაქტები ან კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის არსებობის ნიშნები.

2011 წლის 26 ივნისი

RR-004A (AM 224 - AM 225)

(1) მიერთების უბანი WG17, საწყისი წერტილი - AM 224

სიმაღლე – 730 მ ზღ.დ.

ჭიათურას რაიონი. სოფ. ტყემლოვანას მიდამოები. ლანდშაფტი წარმოდგენილია სასოფლო-სამეურნეო სავარგულებით / სამოვრებით.

მიწის ზედაპირზე არ დაფიქსირდა არტეფაქტები ან კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის არსებობის ნიშნები. მილსადენის მშენებლობის დროს ამ უბანზე რაიმე არქეოლოგიური აღმოჩენა არ მომხდარა.

(2) მიერთების უბანი WG170, ბოლო წერტილი - AM 225

სიმაღლე – 725 მ ზღ.დ.

ჭიათურას რაიონი. სოფ. ტყემლოვანას მიდამოები. ლანდშაფტი წარმოდგენილია სასოფლო-სამეურნეო სავარგულებით / სამოვრებით.

მიწის ზედაპირზე არ დაფიქსირდა არტეფაქტები ან კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის არსებობის ნიშნები. მილსადენის მშენებლობის დროს ამ უბანზე რაიმე არქეოლოგიური აღმოჩენა არ მომხდარა.